პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აპრილი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალადასტურის ქუჩის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, გაგრძელდეს ალადასტურის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X=492756 Y=4614745
X=492632 Y=4614556

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032507018**
თარიღი: **11/03/2025**

გაცნობებთ, რომ მ/წლის 8 მარტს, კომუნიკაცია შედგა იუსტიციის სამინისტროს სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსთან, ნინო ბახიასთან.

კომუნიკაციის დროს დადგინდა, რომ ალადასტურის ქუჩის მიმდებარედ არსებობს რეგისტრირებული საკადასტრო ერთეულები, რომლებსაც მისამართი განესაზღვრებათ ალადასტურის ქუჩით, ხსენებული ერთეულები მდებარეობს ალადასტურის ქუჩის გეგმარებით გაგრძელებაზე, ხსენებული გზის რამდენიმე ათეულ მეტრიანი მონაკვეთი უსახელოა და მიზანშეწონილია მისი სახელდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გთხოვთ, დაამუშავოთ დანართში მითითებული არეალი და უზრუნველყოთ საკითხის კომისიის სხდომაზე განსახილველად მომზადება.

დანართი: 1 გვერდი.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032507054**
თარიღი: **11/03/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას უწყვეტი კომუნიკაცია აქვს იუსტიციის სამინისტროს სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტთან, რათა დედაქალაქში გახორციელდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დამისამართების პროცესი. ერთ-ერთი ასეთი კომუნიკაციის დროს (მ/წლის 8 მარტი) დეპარტამენტის უფროსთან, ნინო ბახიასთან საუბრისას დადგინდა, რომ ალადასტურის ქუჩის მიმდებარედ არსებობს რეგისტრირებული საკადასტრო ერთეულები, რომლებსაც მისამართი განესაზღვრებათ ალადასტურის ქუჩით. ხსენებული ერთეულები მდებარეობს ალადასტურის ქუჩის გეგმარებით გაგრძელებაზე, ხოლო აღნიშნული გზის რამდენიმე ათეულ მეტრიანი მონაკვეთი უსახელოა და მიზანშეწონილია მისი სახელდება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ალადასტურის ქუჩის გაგრძელების სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01250721816**
თარიღი: **13/03/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 11.03.2025 წლის #03-032507054 (11.03.2025წ. #14-01250702815-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი